

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის „ ივნისი, ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმში, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმში, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე (ს/კ №05.23.06.010) ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასური, თანახმად დანართისა.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმში, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე კონკრეტული მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით სარგებლობაში განკარგვისას იხელმძღვანელოს წინამდებარე განკარგულების დანართით დამატკიცებული, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საფასურით და განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

**ქ. ბათუმში, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. ბათუმში, „ბათუმის ცენტრალურ პარკში“ სხვადასხვა ლოკაციაზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგული აქვს სხვადასხვა დანიშნულების საქმიანობის განხორციელების მიზნით (ატრაქციონები, ჯიხური და ა.შ) მიწის ნაკვეთები. დღეის მდგომარეობით ხელშეკრულებების ნაწილს გაუვიდა ვადა. წარმოდგენილია მოთხოვნები ამავე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად უნდა განსაზღვროს მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის საწყისი სარგებლობის საფასური. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2021 წლის 01 ივნისის №003688121 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, „ბათუმის ცენტრალურ პარკში“ მდებარე 1 კვადრატული მეტრი მიწის საპრივატიზებო ღირებულებაა 3017 ლარი; 5%- 150,85 ლარი. წინა ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ანალიზიდან (შედარებიდან) გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქ. ბათუმში, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე (ს/კ №05.23.06.010) ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასური, განისაზღვროს 200 ლარით და იგი გამოყენებული იქნას კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის (ფართზე გადამრავლებით).

ა.ბ) პროექტის არსი: ქ. ბათუმში, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე (ს/კ №05.23.06.010) ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრა, აღნიშნულ ტერიტორიაზე კონკრეტული მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემისათვის გამოსაყენებლად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კობინაძე

ქალაქ ბათუმში, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასური

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი წლიური სარგებლობის საფასური (ლარი)
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)	
1	ქალაქი ბათუმი, „ბათუმის ცენტრალური პარკი“	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.23.06.010	1 კვმ	–	200